



## საქართველოს მთავრობის გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 1110 2024 წლის 7 აგვისტო ქ. თბილისი

„საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის თანხის გამოყოფის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 24 ივნისის №909 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის თანხის გამოყოფის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 24 ივნისის №909 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ხარჯების დაფინანსების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს

გამოუყოს 4 662 100 (ოთხი მილიონ ექვსას სამოცდაორი ათას ასი) ლარი, შემდგომში შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანებისთვის“ (ს/ნ: 404389693) გადასაცემად.“.

პრემიერ-მინისტრი



ირაკლი კობახიძე